ქ. წალენჯიხა 20 თებერვალი 2023 წელი

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის**
**სხდომის ოქმი N1**

2023 წლის 20 თებერვალს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია.
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გონერ კვარაცხელია, თემურ ქარდავა, ავთანდილ გაბელია, დავით ბელქანია. ასევე, ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ომარ ქარდავა, თენგიზ ფიფია, გელა აბულაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, მერიის წარმომადგენელი-მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია.
**დაწყების დრო: 11:$^{00}$-სთ.**
**დასრულების დრო: 12$^{30}$-სთ**

**დღის წესრიგი:**

1. "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

პროექტის წარმომდგენი: თეა სარია , წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2. შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2022 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენა

სხდომაზე ერთხმად დამტკიცდა დღის წესრიგი. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, პროექტის წარმოდგენამდე, საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარიამ აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა მერია წარმოდგენილი ყოფილიყო მერის პირველი მოადგილით, დარგის კურატორით, რომელიც კომისიას მისცემდა სრულ ინფორმაციას საკითხთან დაკავშირებით.
მოიმინეს: 1. "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის N40

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მომხსენებელმა ისაუბრა 2023 წლის ბიუჯეტში არსებული თავისუფალი ნაშთის 972 500 ლარის განაწილების თაობაზე. სხდომის თავმჯდომარის კითხვაზე, თუ საიდან იქნა მოზიდული 61230 ლარი, მოხსენებელმა უპასუხა, რომ ეს არის მერიის საკუთრებაში არსებული, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებული „პიკაპის" სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, რომელიც შესაბამისად, აისახა ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდაში და რომელიც მიმართული იქნება ისევ მერიის მომსახურე ავტომანქანის შესაძენად. აგრეთვე, მერიის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა "პრადოს", რეალიზაციიდან შემოსულია 40000 ლარი. ჯამში, ამ თანხით (სულ 100000 ლარი) მერიას დაგეგმილი აქვს 2 ახალი ავტომანქანის შეძენა. კომისიის თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რა კატეგორიის მუშაკების ხელფასების მომატებაზე იქნება მიმართული თავისუფალი ნაშთის ნაწილი, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2023 წლის 1 აპრილიდან გათვალისწინებულია სკოლამდელი აღზრდის მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე 100 ლარის დამატება. მანვე განმარტა, რომ დანარჩენი ა(ა)იპებ-ის თანამშრომლებს იგივე წესით რომ მოემატოს ხელფასები, ბიუჯეტს დასჭირდება 400000 ლარი, ე. ი. ჯამში, სკოლამდელი აღზრდის ცენტრთან ერთად, ყველა ა(ა)იპის თანამშრომლისთვის იმავე წესით ხელფასის მატება დამატებით მოითხოვს 700000 ლარს. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის კითხვაზე შშმ პირთა რეაბილიტაციის ცენტრთან დაკავშირებით, თეა სარიამ აღნიშნა, რომ საკითხი ეხება აუტიზმის სპექტრის და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციას, ამ მიმართულებით გათვალისწინებული 200000 ლარი მოიცავს: „ევექსის" კლინიკასთან დაგეგმილი მემორანდუმის ფარგლებში, კლინიკის ერთ ფლიგელში მერიის ძალებით სარემონტო სამუშაოების განხორციელებას, სერთიფიცირებული სპეციალისტების შრომის ანაზღაურებას, კომუნალური ხარჯებს და რეაბილიტაციისათვის აუცილებელი ატრიბუტიკის შეძენას. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა ეტაპზე იყო პირველკლასელ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. აღინიშნა, რომ დამზადდა საბანკო ბარათები, რომელიც განახორციელა თიბისი ბანკმა და 1 მარტიდან მერია დაიწყებს პროგრამის ამოქმედდებას.

სხდომის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარიამ მოუწოდა საკრებულოს ფრაქციების წარმომადგენლებს ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

აზრი გამოთქვეს:1.გონერ კვარაცხელიამ, ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის" თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ მწირი საბიუჯეტოს შესაძლებლობის ფარგლებში, ბიუჯეტის ამ ცვლილებას, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან ღონისძიებებს, მათ შორის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომელთა ხელფასების მომატებას, (გათვალისწინებით იმისა, რომ მერია იძლევა პირობას სხვა ააიპ-ის ხელფასების ეტაპობრივად მომატებასთან დაკავშირებით), შშმ პირთა სარაბილიტაციო ცენტრის შექმნას, სპეც. ტექნიკის (ტრაქტორის შეძენას), ფრაქცია მხარს დაუჭერს. ბაჩანა ქანთარიას შეკითხვაზე, რამდენად სამართლიანად მიაჩნიათ,

რომ არც ერთი თეთრი არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტის ამ ცვლილებით ქალაქ ჯვარისთვის. გონერ კვარაცხელიამ უპასუხა, რომ გათვალისწინებული პროექტები: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლებისთვის ხელფასების მომატება, სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნა და სხვა მოიცავს ქალაქ ჯვარსაც. რასაც არ დაეთანხმა ბაჩანა ქანთარია და განაცხადა, რომ ჯვარის მრავალბინიანი კორპუსების გადახურვა გაცილებით მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია.

2. ავთანდილ გაბელიამ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ-მან ისაუბრა ფრაქცია" ნაციონალური მოძრაობის" პოზიციაზე წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. ავთანდილ გაბელიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 15 იანვარს ფრაქციის სხდომაზე მიიღეს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულ საკითხებზე, თუმცა მერიას დღემდე რეაგირება არ მოუხდენია. ამ რეკომენდაციებით ხელფასების 10%-იანი მატება უნდა განხორციელებულ იყო ყველა ა(ა)იპ-ში. უდავოა, რომ სკოლამდელი აღზრდის თანამშრომელთა შრომა დასაფასებელია, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მეეზოვეთა, ბიბლიოთეკართა და მუსიკის მასწავლებელთა მიზერული შრომის ანაზღაურების გაზრდაც. ფრაქციის წინადადებაა: 300000 ლარს დაემატოს სპეც ტექნიკის (ტრაქტორის) შესაძენად გათვალისწინებული თანხა 160000 ლარი და იგი მიმართულ იქნეს ყველა ა(ა)იპ-ში შრომის ანაზღაურების 10%-ით გაზრდისკენ, ამასთან განხორციელდეს ქალაქ ჯვარის მრავალბინიანი კორპუსების გადახურვა. რაც შეეხება, ტრაქტორს, აღნიშნა ავთანდილ გაბელიამ, მისი შეძენა 100000 ლარადაც შესაძლებელია და უმჯობესი იქნება მერიამ ავტომანქანების შეძენისათვის განკუთვნილი თანხა აქეთკენ მიმართოს.

3. დავით ბელქანიამ, როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" წევრმა , აღნიშნა, რომ რომ არ არის შესწავლილი თუ რა თანხა არის საჭირო ყველა ა(ა)იპ-ის თანამშრომელთა ხელფასების მომატებისთვის, ფრაქცია, რა თქმა უნდა, ეთანხმება სკოლამდელი აღზრდის თანამშრომელთა ხელფასების ზრდას, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ეს პროცესი შეეხოს სხვა ა(ა)იპ-ებსაც, მისი შეხედულებით, უმჯობესია სხვადასხვა პროცენტით მოხდეს სხვადასხვა შრომის ანაზღაურების მქონე პირთა ხელფასების მატება. მაგალითად, 300 ლარი ვისაც აქვს ხელფასი მისთვის 10%-ით მატება, არაფერს ნიშნავს. მას მიაჩნია, რომ კარგი იქნება, თუ მინიმუმ 50 ლარით (ხელზე ასაღები თანხა) მაინც უნდა მოხდეს მატება, ქვედა რგოლს მოემატოს მეტი პროცენტი, უფრო მაღალი ხელფასის მქონეთ- ნაკლები და ა. შ. ამასთან, დავით ბელქანიამ არარენტაბელურად მიიჩნია 285 000 ლარის ღირებულების სპეცტექნიკის შეძენა, როცა შესაძლებელია ზამთრის სეზონისთვის გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის გამოცხადდეს ტენდერი და გაცილებით ნაკლები ხარჯით მოგვარდეს ეს პრობლემა, რასაც არ დაეთანხმნენ ფრაქცია"წალენჯიხა-საქართველოსთვის" წევრები.

4. კომისიის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით დამსწრე საკრებულოს წევრებმა:

თენგიზ ფიფიამ-აღნიშნა, რომ თავიდანვე არ იყო ბიუჯეტი დალაგებული პრიორიტეტების მიხედვით, უფრო ცალკეულ პირთა სურვილებზე იყო გათვლილი, რამაც დღეს არსებულ უკიდურესობამდე მიიყვანა მუნიციპალიტეტი.

გელა აბულაძემ-აღნიშნა, რომ ბიუჯეტი მხოლოდ ხელფასებზე არ უნდა იყოს გათვლილი, მართალია, მომუშავეს უნდა ჰქონდეს ღირსეული ანაზღაურება, მაგრამ ზამთრის სეზონზე კომუნალური სამსახურები გზის გაწმენდით სამუშაოებზე იმდენად მნიშვნელოვან თანხას ხარჯავენ, რომ სპეც. ტექნიკის შეძენა უფრო პრიორიტეტულია. მან შენიშნა, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ ერთი წლის განმავლობაში ორჯერ მომატებული შრომის ანაზღაურების თანხით შეიძლებოდა ამ ღონისძიებების დაფინანსება. რასაც არ დაეთანხმა ავთანდილ გაბელია და განმარტა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პოლიტიკური თანმადებობის პირების ხელფასები, ამ ეტაპზეც, მნიშვნელოვნად დაბალია სხვა მუნიციპალიტეტებში არსებულზე.

სხდომის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარიამ შემაჯამებელ სიტყვაში დაასაბუთა წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტის მოუმზადებლობა იმ კუთხით, რომ იგი არ შეესაბამება მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარ პრიორიტეტებს, კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ მიესალმება სკოლამდელი აღზრდის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების გაზრდას, ვერ დაეთანხმება სხვა ა(ა)იპ-ის თანაშრომელთა იგნორირებას, თუ მომატებაა, მიზანშეწონილია მოემატოს ყველა ააიპ-ის, იმ კატეგორიას, ვინც უქმე დღეებშიც მუშაობს, მაგალითად, კომუნალური მეურნეობის მუშაკებს. მან მიიჩნია, რომ ბიუჯეტის ცვლილება პირველ რიგში უნდა მოიცავდეს: მუნიციპალიტეტის ყველა ა(ა)იპ-ის თანამშრომელთა ხელფასების ზრდას და ქალაქ ჯვარის კორპუსების გადახურვისთვის გათვალისწინებულ თანხას, არ ეწინააღმდეგება სპეც ტექნიკის შეძენას, მაგრამ ეს შეიძლება განხორციელდეს მოგვიანებით, მ/წლის შემდგომ თვეებში.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ (4 მომხრე-ბაჩანა ქანთარია, თემურ ქარდავა, ავთანდილ გაბელია, დავით ბელქანია, წინააღმდეგი-გონერ კვარაცხელია) გადაწყვიტა:

1. "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტი ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის არასაკმარისად მომზადებულად;
2. კომისიის სხდომაზე წარმოთქმული შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები გაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას განსახილველად და რეაგირებისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-2 საკითხი: „შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2022 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენა გადაიდო.

ამით საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — ბაჩანა ქანთარია

ქ.წალენჯიხა

20.02.2023წ.

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის**

**დასკვნა**

**,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**დოკუმენტის დასახელება:** ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**პროექტის წარმომდგენი:** **თეა სარია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

**მოკლე შინაარსი:** დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2023 წლის 15 თებერვლისთვის სახაზინო ანგარიშებზე არსებული თავისუფალი ნაშთის (972,500.00 ლარი) ასახვის და განაწილების, ასევე არაფინანსური აქტივებში (კლება/ზრდა) 61,320,00 ლარის ასახვის აუცილებლობით.

კომისიის სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების შესაბამისად, თანხის გადანაწილების საკითხში წამოიჭრა 2 ძირითადი პრობლემა. მათ შორის: მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, იგეგმება ხელფასების ზრდა მხოლოდ სკოლამდელი დაწესებულების მომუშავეთათვის და ასევე, ქ. ჯვარში, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული სახურავების მოწესრიგებისათვის წინა სხდომებზე განსაზღვრული პრიორიტეტის ასახვა ცვლილებებში არ განხორციელდა.

დანარჩენ მუხლებთან დაკავშირებით პრეტენზიები არ გამოთქმულა, თუ არ ჩავთვლით იმ საკითხს, რომ პროექტის წარმდგენს მიეთითა გამოხატულ პრეტენზიათა აღმოსაფხვრელად საჭირო დამატებითი ფინანსური რესურსების წყარო.

საკრებულოში წარმოდგენილ ფრაქციებს მიეცათ საშუალება, რომ შეეფასებინათ ზემოთაღნიშნული პროექტი და გამოეხატათ საკუთარი პოზიცია ცვლილებებთან დაკავშირებით.

გონერ კვარაცხელიამ, ფრაქცია წალენჯიხა-საქართველოსთვის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფრაქციას პროექტთან დაკავშირებით კითხვები არ გააჩნია და ისინი ცვლილებების ამ რედაქციას მხარს დაუჭერენ.

დავით ბელქანიამ, ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს წევრმა აღნიშნა, რომ ისინი მსგავსი ფორმაციის გადანაწილებას არ ეთანხმებიან. ისინი მოითხოვენ ყველა ააიპ-ის

თანამშრომელთა ხელფასების მატებას. პარალელურად, ფრაქცია მხარს უჭერს ხელფასების მატებას თითოეულ მომუშავე ადამიანზე ან პროპორციულად, ან თითოეულ ადამიანზე უკვე არსებული ხელფასის ოდენობის გათვალისწინებით.

ავთანდილ გაბელიამ წარმოადგინა ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოზიცია, რომელიც თავისთავში გულისხმობს ხელფასების მომატებას ყველა ააიპ-ის თანამშრომელთათვის და ასევე, ქ. ჯვარში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული სახურავების მოწესრიგებისათვის თანხის გამოყოფას.

კომისია დაეთანხმა სხდომაზე გამოთქმულ ყველა პრობლემას და აფიქსირებს, რომ ზემოღაღნიშნული საკითხების გათვალისწინება ცვლილებათა პაკეტში აუცილებელია, რადგანაც კომისიისთვის მიუღებელია ააიპ-ების თანამშრომელთა სელექცია ნებისმიერი ფორმით და კომისია მხარს უჭერს თანაბარ მიდგომას ააიპ-ების ნებისმიერი თანამშრომლის მიმართ.

კომისია არათუ მხარს უჭერს სკოლამდელი დაწესებულების მომუშავეთა ხელფასების ზრდას, არამედ პირიქით, კომისია მხარს უჭერს ყველა ააიპ-ის თანამშრომელთა ხელფასების ზრდას და მიგვაჩნია, რომ სამართლიანობისთვის ეს ყველაფერი უკიდურესად მნიშვნელოვანია.

კომისია მხარს უჭერს, რომ წარმოდგენილ ცვლილებათა პაკეტში აუცილებელია ქ. ჯვარში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული სახურავების მოწესრიგებისათვის საჭირო თანხების გათვალისწინება ისე, როგორც ეს დათქმულ იქნა წინამდებარე სხდომებზე და განისაზღვრა უახლოესი პერიოდის პრიორიტეტად.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ცვლილება ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის არასაკმარისად მომზადებულად.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია